114

№3-343/09

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ქ. ბათუმი

11 დეკემბერი, 2009 წელი

ბათუმის საქალაქო სასამართლო

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე

სხდომის მდივანი დარინა აბულაძე

მოსარჩელე –

მოპასუხე: - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

წარმომადგენელი- თეიმურაზ ტუღუში

დავის საგანი – ქმედების დავალდებულება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სარჩელი აღძრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება მისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

თავის მოთხოვნას მოსარჩელე შემდეგ გარემოებებზე ამყარებს:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2009 წლის 26 ივნისს მან განცხადებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა 2006 წლიდან 2009 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით; საქართველოს

მოხსენებითი ბარათი და ვიდეომასალების ასლები, რომლებიც საფუძვლად დაედო 2009 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით გამოყენებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის მიღებას.

მოსარჩელის მტკიცებით აღნიშნული დოკუმენტები მან კვლავაც ვერ მიიღო, ხოლო 5 დღის შემდეგ ზეპირად მიმართა სასამართლოს ინფორმაციის თაობაზე და აცნობეს, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მას გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით, თუმცა მაინც ვერ მიიღო ინფორმაცია.

მოსარჩელის მტკიცებით სიმართლეს არ შეეფერება მოპასუხის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ თითქოს გზავნილი უკან დაუბრუნდა სასამართლოს იმ მიზეზით, რომ არ ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე, რადგანაც მას განცხადებაში მითითებული საცხოვრებელი მისამართი არ შეუცვლია და დღემდე იქ ცხოვრობს.

მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე არ აპირებს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მისთვის გადაცემას და თუ რატომ, ეს მოსარჩელისთვის გაუგებარია, რადგანაც მოთხოვილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს და ამას მოპასუხეც ადასტურებს.

მოსარჩელე თვლის, რომ მოპასუხე ასეთი ქმედებით მის იგნორირებას და დისკრიმინაციას ახორციელებს, რამდენადაც ამასთან მოპასუხის ასეთი ქმედება არის საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დავალდებულებას გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მოწოდების შესახებ.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ სცნო შემდეგი მოტივით: 2009 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და მოითხოვა 5 დასახელების საჯარო ინფორმაციის მიღება. სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის წერილით მიეწოდა მის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბრძანებები საკადრო გადაადგილების შესახებ, ცნობა ხელფასის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულება, საშტატო განრიგი და ხარჯათღრიცხვა. ვერ მიეწოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ოქმი, რამდენადაც ასეთი პლენუმის ოქმი არ არსებობს, რადგან თანამშრომელთა დანიშვნას პლენუმი არ წყვეტს.

მოპასუხის მტკიცებით, 2009 წლის 15 ივნისს უარი განაცხადა მისთვის მიწოდებული საჯარო ინფორმაციის ჩაბარებაზე, რაზედაც შედგენილი იქნა შესაბამისი აქტი, რასაც ადასტურებს თვით მოსარჩელეც.

მოპასუხე მხარე თვლის, მოცემული დავის ფარგლებში ვერ დადგინდება მოსარჩელის მტკიცების მართებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია არასრული იყო, რამდენადაც საერთოდ არ მიიღო მიწოდებული ინფორმაცია და არ მიუთითა, თუ კონკრეტულად რა დოკუმენტები აკლდა, ან საერთოდ თუ იყო ის ინფორმაცია, რაც მან მოითხოვა. საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის წერილით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მიეწოდა ყველა ის დოკუმენტები, რაც სასამართლოში ფიზიკურად არსებობდა, წერილში ჩამოთვლილი და მითითებულია ყველა დოკუმენტის თარიღი და ნომერი, რაც მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი იყო.

2009 წლის 17 ივლისს მოსარჩელემ მართლაც მომართა ახალი განცხადებით საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ მოითხოვა, რომ წინა განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია მას არ ჰქონდა მიღებული. აღნიშნულ წერილში ინფორმაციის გამოთხოვაზე საუბარი არ იყო.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ 2009 წლის 14 სექტემბერს კვლავ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა ახალი საჯარო ინფორმაცია, მისი გაგზავნა განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

მოპასუხის მტკიცებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურმა 2009 წლის 28 სექტემბერს საფოსტო გზავნილით გაუგზავნა წერილი და მოთხოვნილი ინფორმაცია, გარდა მიერ მოთხოვნილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის დებულებისა, რომელიც არ არსებობს. ინფორმაცია მოსარჩელეს გაეგზავნა ფოსტის საშუალებით, თუმცა გზავნილი უკან დაუბრუნდა სასამართლოს, რადგანაც მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა.

მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა საქმის სასამართლო განხილვის დროს განაცხადა, რომ მოსარჩელეს კვლავ გადაეცემოდა მისთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია, თუ ამის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდა განცხადებით.

მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედების განხორციელებაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად

ქმედების განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება დაევალოს მაშინ, როცა ის უარს ამბობს მასზე, წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ასეთი არ დასტურდება და შესაბამისად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

გარდა აღნიშნულისა, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის დროს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად გამოყენებული არ აქვს საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. მოსარჩელეს უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა ზემდგომი ორგანოსათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისათვის და ის განიხილავდა საჩივარს. საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის ქმედება ადმინისტრაციული წესით საჩივრდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, რისი უფლებაც მოსარჩელეს არ გამოუყენებია.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, მტკიცებულებათა გამოკვლევისა და ანალიზის, სარჩელის საფუძვლიანობა-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეებიც ადასტურებენ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

2009 წლის 26 ივნისს განცხადებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, კერძოდ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2007 წლის ივნის-ივლისის დადგენილება ნაწილში; შესახებ ბრძანება 2007 წლის ივნის-ივლისის მდგომარეობით; შესახებ ცნობა 2007 წლის ივლისიდან; საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დებულება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საშტატო განრიგი 2007 წლის ივნისიდან; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა 2006 წლის სექტემბრიდან (იხ. განცხადების ასლი საქმეში).

საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, მიერ 2009 წლის 15 ივლისს მომზადდა წერილი მისამართით (იხ. ასლი საქმეში), რომლითაც მას სხვა საკითხებთან ერთად ეცნობა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო პლენუმს საკითხი არ განუხილავს და შესაბამისად მას ასეთი დადგენილება ვერ მიეწოდებოდა, ხოლო მის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა ინფორმაცია თან ერთვოდა ამ წერილს დანართის სახით.

სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს და მხარეებიც ადასტურებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების საკითხებში მთავარი სპეციალისტის, მიერ 2009 წლის 16 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში ხელზე ჩასაბარებლად მიეწოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაცია, რაც მიერ არ იქნა მიღებული, რამდენადაც მან არასრულყოფულად ჩათვალა მისთვის მიწოდებული ინფორმაცია.

საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, ლ. ბაგაშვილის, ამ სამსახურის უფროსი მრჩევლის, დ. კეზევაძის და მთავარი სპეციალისტის, ა.რევაზიშვილის მიერ 16 ივლისს შედგენილი იქნა აქტი, იმის თაობაზე, რომ უარი განაცხადა მიწოდებული ინფორმაციის ჩაბარებაზე (იხ. ასლი საქმეში).

მოსარჩელე 2009 წლის 17 ივლისს განცხადებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს რომლითაც მოახსენა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა ამოწურული იყო, თუმცა მას პასუხი არ მიუღია (იხ. ასლი საქმეში).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის 2009 წლის 12 აგვისტოს ბრძანებით

მოსარჩელემ 2009 წლის 14 სექტემბერს კვლავ მიმართა განცხადებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს ზაკ-ის მე-3 თავის დებულებზე მითითებით მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა 2006 წლის სექტემბრიდან; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის დებულება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის

უფროსისა და მანდატურის თანამდებობის აღწერა; საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის უფროსის თანამდებობის აღწერა; საქმე; საკონსტიტუციო სასამართლოს არქივში არსებული საქმის მასალები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ოქმი, სადაც განხილული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სამსახურებისა და დეპარტამენტების დებულებების საკითხი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის 2007 წლის 7 ივნისის ოქმი №5; ბ-ნ ი.მაჭუტაძის მოხსენებითი ბარათი და ვიდეომასალების ასლები, რომლებიც საფუძვლად დაედო მიმართ 2009 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით გამოყენებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის, გაფრთხილების მიღებას.

მისამართით საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გაგზავნილი წერილით, სასამართლოში წარმოდგენილი საქართველოს ფოსტის შეტყობინებით საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ და ფოსტის სამსახურის მიერ შედგენილი ცნობით (იხ. ასლი საქმეში), აგრეთვე მოწმე ლ. ბაგაშვილის ჩვენების საფუძველზე სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2009 წლის 28 სექტემბერს გაეგზავნა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, გარდა ვიდეოჩანაწერების ასლებისა, რაც მას წერილის შესაბამისად დამატებით წარედგინებოდა, მაგრამ გზავნილი არ ჩაბარებია საფოსტო სამსახურის მიერ, იმ მოტივით, რომ ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და მოპასუხე მხარეც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს საქართველოს ზაკ-ის მე-2 მუხლის „მ" პუნქტით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციას.

ზაკ-ის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყონებლივ, ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს დამატებით მოძიებასა და დამუშავებას.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარეს მოსარჩელისათვის ზაკ-ის 41-ე მუხლით განსაზღვრული უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არ განუცხადებია. მართალია მოპასუხის მიერ ზაკ-ის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადა

დაცული არ ყოფილა საჯარო ინფორმაციის გაცემისას, მაგრამ მისი ორივე მოთხოვნის შესაბამისად მასზე გაცემული იქნა საჯარო ინფორმაცია.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მტკიცებას იმის შესახებ, რომ 2009 წლის 26 ივნისის მოთხოვნაზე მოპასუხემ მას საჯარო ინფორმაცია არ მისცა.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 ივლისის №01/01-330 წერილით 2009 წლის 16 ივლისს შედგენილი, ზემოთდასახელებული აქტით, ასევე მოწმეების, ლია ბაგაშვილის, ნათია ებრალიძის, ზურაბ კვირკვაიას, ბაკურ ლილუაშვილის და ანა რევაზიშვილის ჩვენებით სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ 2009 წლის 16 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში მიეწოდა მის განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაცია, რაც მიერ არ იქნა მიღებული, რადგანაც მან ეს ინფორმაცია არასრულყოფულად ჩათვალა.

მიერ, როცა მან მოწოდებული ინფორმაცია არასრულყოფილად ჩათვალა, მოპასუხის ქმედება არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მოსარჩელე 2009 წლის 17 ივლისს განცხადებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლითაც მას მოახსენა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადა ამოწურული იყო, ხოლო პასუხი არ ჰქონდა მიღებული და მოითხოვა მასთან შეხვედრა.

როგორც სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, მიერ 2009 წლის 14 სექტემბერს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია საფოსტო გზავნილის სახით გაეგზავნა, იმ წესით, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს თავისი საქმიანობის პროცესში. გზავნილი თვითონ განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებულ მისამართზე გაიგზავნა, მაგრამ საქართველოს ფოსტის მიერ გზავნილი ვერ იქნა ჩაბარებული, ხოლო ჩაუბარებლობის მიზეზად სასამართლოს ეცნობა, რომ ადრესატი მის მიერ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა.

ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილია და უდავო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ქმედების განხორციელებაზე, რაც დაკავშირებულია მოსარჩელე მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან, უარი არ განუცხადებია.

საქმის სასამართლო განხილვის დროს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსარჩელეს კვლავ გადაეცემოდა მისთვის საინტერესო

საჯარო ინფორმაცია, თუ ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდა განცხადებით, რაზედაც მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას კვლავაც აქვს სურვილი საჯარო ინფორმაციის მიღებისა, თუმცა ის განცხადებით მოპასუხეს აღარ მიმართავს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ქმედების განხორციელების თაობაზე.

ამავე კოდექსის 33^1-ე მუხლის შესაბამისად კი სასამართლო აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანოსადმი ასეთი მოქმედების განხორციელების დავალდებულების, ან ამ მოქმედების განხორციელებისაგან თავი შეკავების შესახებ, თუ დადგინდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და ამასთან დადგენილია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაცია გაცემული იქნა, მაგრამ ინფორმაცია მოსარჩელემ ვერ მიიღო მოპასუხისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის ქმედების შედეგად მოსარჩელე კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დარღვევაზე, მოსარჩელე მხარის მტკიცება საფუძველს მოკლებულია.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით ბიუჯეტის სასარგებლოდ წინასწარ აქვს გადახდილი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2 მე-5, 24-ე და 33^1-ე მუხლებითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 38-39-ე, 243-244-ე, 247-249-ე, 257-258-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, ქმედების დავალდებულების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

მოსარჩელე მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟი ბიუჯეტის სასარგებლოდ წინასწარ არის გადახდილი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ.№32) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

მოსამართლე: **ჯ. ბეჭანიძე**